საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 462-03
17/02/2020

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,2.1 საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა შორის სტიპენდიატთა შერჩევა განხორციელდეს გასული სემესტრის მონაცემების მიხედვით, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ შერჩეული ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით:
ა) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სარეიტინგო შედეგის 100%;
ბ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (წილობრივად სარეიტინგო შედეგის 90%) და შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი აქტივობების (წილობრივად სარეიტინგო შედეგის 10%) საფუძველზე, რეიტინგული პრინციპით.
2.2 რეიტინგული პრინციპი დგინდება თითოეული ფაკულტეტისთვის/სკოლისთვის და რაოდენობრივად ნაწილდება უნივერსიტეტში ჯამურად არსებული აქტიური საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების საერთო რაოდენობისა და ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების პროპორციულად. რეიტინგში არ მონაწილეობენ პასიური/სტატუსშეჩერებული სტუდენტები და სტუდენტები, რომლებსაც წინა სემესტრში მიღებული აქვთ 30 კრედიტზე ნაკლები."

ბ) ბრძანების მე-6 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
6. იმ შემთხვევაში, თუ აირჩევს მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პრინციპს, დაევალოს უნივერსიტეტის ფაკულტეტს/სკოლას:
ა) უზრუნველყოს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოების მიერ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტთა მიერ სტიპენდიის მისაღებად განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალის დამტკიცება (წილობრივი სარეიტინგო შედეგის 10%).

ბ) უზრუნველყონ ამ მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალის დამტკიცების შემდეგ, სტუდენტების ინფორმირება აქტივობების ჩამონათვალის და სტიპენდიის მიღების წესში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.“

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალიწინებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს.

გიგა ზედანია

რექტორი